ჩემი პირველი

მოთხრობები

იაკობ გოგებაშვილის

„დედა ენიდან“



სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

სწავლაში – ზარმაცი, ცეკვაში – მამაცი 4

ვანო და ქვევრი 5

თაგვი და ლომი 6

ცხვარი და სიღარიბე 8

მერცხალი და მეცხვარე 9

თხა და გიგო 10

მჩხავანა კატა 12

მკვეხარა ქოთანი 13

ბოროტისათვის სიკეთე 14

თავისი თავის დასჯა 16

უსუნო ყვავილი 17

ცრუპენტელა.....18

მუქთამჭამელა.....20

ნაპოვნი სავარცხელი.....21

ღარიბი და ქილა ერბო.....22

ლოკოკინა და ხვლიკი.....24

ბუზი და ეტლი.....25

ჩიტი და მელა.....26

ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს.....28

დაკარგული ბავშვი.....29

მეზობლები.....30

კურდღლები და ბაყაყები.....32

სწავლაში – ზარმაცი, ცეკვაში – მამაცი

– ვანო, სკოლაში წადიო!

– ფეხები ძალიან მტკივაო.

– ვანო, მოდი, ერთი ლეკური დაუარეო!

– აბა, ერთი კარგი ტაში დაუკარითო.

ვანო და ქვევრი

ვანო ახდილი ქვევრის პირას იდგა და ილანძღებოდა. ქვევრი ცარიელი იყო და ვანოს თავისი სიტყვები უკან უბრუნდებოდა.

ვანომ დედას შესჩივლა:

– ამ წყეულმა ქვევრმა ლანძღვით ამიკლოო.

დედამ უპასუხა:

– შენი თავი შენ თვითონვე გაგილანძღავს. ცარიელ ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.

თაგვი და ლომი

ლომს ტყეში ეძინა. თაგვმა ტანზე გადაურბინა. ლომს გაეღვიძა და თაგვი დაიჭირა. თაგვმა უთხრა, გამიშვი და ოდესმე მეც დაგეხმარებიო. ლომმა გულიანად გადაიხარხარა და თაგვი გაუშვა.

გავიდა დრო. მონადირეებმა ლომი დაიჭირეს და ხეზე თოკით მიაბეს. უნდოდათ, მერე მოსულიყვნენ და ცოცხალი წაეყვანათ. მონადირეები რომ წავიდნენ, ლომმა ღრიალი მორთო. თაგვს შემოესმა ლომის ღრიალი, მიირბინა, თოკი გაღრღნა, გაათავისუფლა ლომი და უთხრა:

– გახსოვს, რომ დამცინე? ახლა ხომ ხედავ, პატარა თაგვსაც შესძლებია ლომის დახმარებაო.

ცხვარი და სიღარიბე

ცხვარი შევიდა სახლში. დაინახა სიღარიბე, ფეხები დააბაკუნა და დაუყვირა:

– ადე, სიღარიბევ! გამეცალე აქედანო!

– სახლის ნახევარი მაინც დამითმეო, – სთხოვა სიღარიბემ.

– ვერ დაგითმობ, მთელი სახლი უნდა დავიკავო. ერთ კუთხეში მე უნდა ვიყო, მეორეში – ჩემი ბატკნები, მესამეში მატყლს დავდებ, მეოთხეში – ყველსო.

სიღარიბე ადგა და გაეცალა იქაურობას. მთელი სახლი ცხვარს დარჩა.

მერცხალი და მეცხვარე

ზამთარი იწურებოდა. ერთი მერცხალი თბილი ქვეყნებიდან ადრე დაბრუნდა და ჭიკჭიკი მორთო.

მეცხვარეს ეგონა, ეგ არის, გაზაფხული დადგაო და ცხვრები დაკრიჭა.

მეორე დღეს კვლავ აცივდა. თოვლი მოვიდა და ყინვამ გაკრეჭილი ფარა კინაღამ გაუწყვიტა.

მაშინ მეცხვარემ თქვა:

– ახლა კი ვხედავ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

თხა და გიგო

იყო ერთი ზარმაცი გიგო. ერთხელ თქვა, მოდი, თავს გამოვიჩენ ბეჯითობითო. აიღო წიგნი და სოფლის მოედანზე გავიდა. ჩამოჯდა სკამზე და მუხლებზე წიგნი დაიდო, ვითომ შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო. წიგნი უკულმა ედო და შიგ ტყუილად იცქირებოდა. მალე ძილი მოერია და თავის ქნევა დაიწყო.

ამ დროს მეზობლის ეზოდან წვერის ცანცარითა და ფეხის ბაკუნით თხა გამოვიდა. გიგო რომ თავს აქნევდა, იფიქრა, საჭიდაოდ მიწვევსო. გამოექანა, რქებით დაეჯახა და ააყირავა ჩვენი თავმომწონე გიგო.